Start Business Solutions

2023

პროფესიული განათლების სისტემის კვლევა

საქართველო

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის

INDUSTRY-LED SKILLS DEVELOPMENT PROGRAM

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „პროფესიული პროგრამები ICT სექტორში“ სტუდენტების მიერ.

პროექტი ხორციელდება კვლევითი და ბიზნესსაკონსულტაციო კომპანიის START - BUSINESS SOLUTION-ის მიერ, USAID-ის მხარდაჭერით, პროგრამის: „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ფარგლებში.

აპუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს START - BUSINESS SOLUTIONS-ისა და USAID-ის ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი(ები)

ავტორები: თამარ ქურდაძე, ნატა ასათიანი, ნინო ალავიძე

1. შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის შესწავლა.

ძირითადი საკვლევი საკითხები

- საქართველოში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატეგორიების შესწავლა;
- პროფესიული სასწავლებლების იდენტიფიცირება და სიღრმისეული შესწავლა;
- პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაოდენობის იდენტიფიცირება და დინამიკის ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, სისტემური ანალიზის მეთოდი. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. ასევე გამოყენებულია სხვადასხვა უწყებების ოფიციალური ანგარიშები.

2. პროფესიული განათლება საქართველოში

საქართველოს განათლების სისტემა შედგება ოთხი ქვესისტემისგან: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემა, ზოგადი განათლების სისტემა, პროფესიული განათლების სისტემა და უმაღლესი განათლების სისტემა. ანალიზში განხილული იქნება პროფესიული განათლება, მასთან დაკავშირებული ფაქტები და გამოწვევები.

პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის სოციოეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაში. ხარისხიანი პროფესიული განათლება ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას, ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, უმუშევრობის შემცირებას, ღირსეულ დასაქმებას, ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, სოციალურ ჩართულობასა და მოსახლეობის კეთილდღეობას.

პროფესიული განათლების სისტემაში არსებობს 3 ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა: საბაზო პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამები - ჩარიცხვის წინაპირობაა საბაზო (9 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი

საშუალო პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამები - ჩარიცხვის წინაპირობაა ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუმცა არსებობს ინტეგრირებული პროგრამები, სადაც შესაძლებელია საბაზო განათლების მქონე პირმა დაასრულოს პროგრამა და ამავდროულად მიიღოს სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.

უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ჩარიცხვის წინაპირობაა სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. პროგრამები ორიენტირებულია პრაქტიკაზე, ზოგიერთი მათგანი ითვალისწინებს დუალურ სწავლებას. საგანმანათლებლო დაწესებულება და კომპანია ინაწილებს პასუხისმგებლობას სტუდენტის მომზადებაზე და სწავლის შედეგების ნახევარი ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში - კომპანიაში.

ასევე, ხელმისაწვდომია მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა - დაშვების წინაპირობა 9 კლასი.

ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ეს გამოიხატება ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ფართო-მასშტაბიან რეფორმებში, შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და გაზრდილ დაფინანსებაში. ამის მაგალითია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, ერთობლივად დაფუძნებული "პროფესიული უნარების სააგენტო" (28.04.2021), რომელმაც თავი მოუყარა სხვადასხვა სააგენტოებსა და სისტემაში გადანაწილებული ფუნქციებს.

2017 წელს პროფესიული განათლების ბიუჯეტი შეადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის 3.1%-ს. 2017-2020 წლებში განხორციელდა პროფესიული განათლების ბიუჯეტის 22% -იანი ზრდა, რაც საერთო ბიუჯეტის წილის 4% -მდე გაზრდას გულისხმობს.

საქართველოში, პროფესიული განათლების მიღება ნებაყოფლობითია და ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დადგენილი, რითაც ის ქმნის პიროვნული და პროფესიული განვითარების უწყვეტ შესაძლებლობას, მთელი ცხოვრების მანძილზე.

პროფესიული განათლების მსურველს რეგისტრაცია შეუძლია მაქსიმუმ 3 პროგრამაზე. პროგრამებზე რეგისტრაცია მიმდინარეობს ონლაინ, ძირითადი საიტებია vet.emis.ge და emis.ge. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის ძირითადად ორი წინაპირობაა - პროფესიული ტესტირება და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული კონკურსი/შერჩევა. პროფესიული ტესტირების გავლა, ქართულის გარდა, შესაძლებელია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რის შემდეგაც აპლიკანტები ისწავლიან ქართული ენის მოდულს და ამის შემდეგ განაგრძობენ სწავლას შერჩეულ პროგრამაზე.

პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორიცაა ავტორიზებული სახელმწიფო კოლეჯები, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯები, ავტორიზებული კერძო

პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები. ასევე პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სახელმწიფო სრულად აფინანსებს სწავლას სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციებელ დაწესებულებებში. სახელმწიფო ასევე აფინანსებს მინისტრის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებს კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებულ დაწესებულებებში.

არსებული პროფესიული სასწავლებლების მოკვლევა

კოლეჯების რაოდენობა წლების მანძილზე იცვლება. რაც განპირობებულია სამინისტროს მიერ აკრედიტაციის პირობებზე, სტუდენტების დაინტერესებასა და სხვა ფაქტორებზე.



2020 წლის ივლისის მონაცემებით, სულ საქართველოში ავტორიზებულია 92 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება. მათ შორის: 67 კოლეჯი/საზოგადოებრივი კოლეჯი, 18 უმაღლესი სასწავლო და 7 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. 2019 წლის ბოლოსა და 2020 წლის დასაწყისისთვის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამები ქვეყნის ათივე რეგიონსა და 37 მუნიციპალიტეტში (თბილისის ჩათვლით) იყო ხელმისაწვდომი.

სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ქვეყნის ყველა რეგიონშია, ხოლო კერძო დაწესებულებები არ მოიცავს მცირე ზომის რეგიონებს, როგორიცაა მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლებისა და მათი ტერიტორიული ერთეულების დაფუძნება/განვითარება, შენდება სტუდენტური საერთო საცხოვრებლები, ხოლო სპეციალური პროგრამის ფარგლებში დევნილი სტუდენტები იღებენ ტრანსპორტირების დაფინანსებას.

თუმცა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კვლევამ (2020) აჩვენა განსაკუთრებით დაბალი ხელმისაწვდომობა პროფესიული განათლების ქსელზე 17 მუნიციპალიტეტში, რაც საჭიროებს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას. 2015-2019 წლების ჩარიცხვების ანალიზით დგინდება, რომ სტუდენტების 45% თბილისში სწავლობს. ხოლო თბილისსა და ბათუმში სწავლობს პროფესიული სტუდენტთა ორი მესამედი. პროფესიული განათლება ნაკლებად ხელმისაწვდომია დიდი ქალაქების გარეთ, სადაც მცირე რაოდენობით არის საჯარო და კერძო კოლეჯები.



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2019-2021 წლებში 32132 ადამიანი ჩაირიცხა. 2019 წელს დაფიქსირდა ჩარიცხულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 2020 წელს წინა წელთან შედარებით ჩარიცხულთა რაოდენობამ დაახლოებით 18% იკლო, თუმცა დროებით, 2021 წელს კვლავ 11 ათასზე მეტი შეადგინა აღნიშნულმა მაჩვენებელმა.



2019 წელს 10928 კურსდამთავრებული იყო. 2020 წელს სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა, კურსდამთავრებულების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, კერძოდ 3424 სტუდენტმა დაასრულა სასწავლებელი. 2021 წელს კი კურსდამთავრებულების რიცხვი თითქმის გაორმაგდა და იყო 6775. შესაძლოა ვივარაუდოთ რომ 2020 წელს კურსდამთავრებულთა რიცხვის ასე შემცირება დაკავშირებული იყოს პანდემიით გამოწვეულ ვითარებასთან.



ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობით თვრამეტიდან ოც წლამდე ახალგაზრდები აბარებენ პროფესიულ სასწავლებლებში. შემდეგ ასაკობრივ ჯგუფში არიან 21-23 წლის ახალგაზრდები. ყველაზე მცირე რაოდენობით ირიცხებიან 15 წლამდე ასაკის ახალგაზრდები და შემდგომ უკვე 33-35 წლის.



გრაფიკი 5. ჩარიცხული სტუდენტების განაწილება ასაკის მიხედვით, საქსტატი

ჩარიცხულ სტუდენტებს გენდერული ნიშნით რომ შევხედოთ, წლების მანძილზე პროგრამებზე ჩარიცხულ მსურველთა შორის მცირედით, მაგრამ მაინც მამაკაცები ჭარბობენ.



ყველა გამოცხადებული პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კვოტას სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს გამოცხადებულ პროგრამებზე ჩაირიცხა 200 შშმ პირი.



ბოლო სამი წლის ჩარიცხვებში ლიდერობს ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის დარგი. ჯამური მონაცემებით აღნიშნულ მიმართულებებზე ჩაირიცხა 5942 სტუდენტი. შემდეგ მოდის ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლი 4023 სტუდენტით, მძიმე მდგომარეობაა სოციალური მეცნიერებების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კუთხით, რადგანაც პირველის შემთხვევაში ბოლო სამ წელში 82 ადამიანი ჩაირიცხა, ხოლო მეორეს შემთხვევაში არც ერთი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 49% დასაქმებულია: დაახლოებით 40% (465) დაქირავებით დასაქმებულია, 10% (120) - კი თვითდასაქმებული.45% (541) კი დაუსაქმებელია; 4.4% (53) სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო დაახლოებით 3% (33) - პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ თუ შევადარებთ აღნიშნულ მონაცემებს წინა წლის მაჩვენებელს, შეინიშნება კლება, როგორც დაქირავებით დასაქმების, ასვე თვითდასაქმების მაჩვენებლებში, გაზრდილია უმუშევარი რესპონდენტების რაოდენობაც.



ქალებისა და მამაკაცების დასაქმების მაჩვენებლებს შორის არსებითი სხვაობა არ არის. 46.7% (258) - ქალების დასაქმების მაჩვენებლი, 51.1% (332) - კაცების დასაქმების მაჩვენებელი.

განათლების სამინისტროს კვლევების მიხედვით დასაქმებულთა (დაქირავებით დასაქმებული) თითქმის ნახევრის (49.1% (216)) საქმიანობა არ არის დაკავშირებული პროფესიული პროგრამის სპეციალობასთან. 37.6% (213)-ის შემთხვევაში დასაქმება პირდაპირ უკავშირდება სპეციალობას, ხოლო 13.4% (49)- ის შემთხვევაში საქმიანობა ნაწილობრივ უკავშირდება სპეციალობას. რესპონდენტები ხსნიდნენ მიზეზებს, თუ რატომ ვერ ან არ მუშაობდნენ თავისი პროფესიით. ძირითად მიზეზებს შორის დასახელდა შემდეგი: არასაკმარისი ცოდნა 6.7% (16) და გამოცდილება 14.25% (38), შემოთავაზებული ხელფასი 13.3% (35), პროფესიაზე დაბალი მოთხოვნა 11.1% (29) და პანდემიური მდგომარეობა 22.3% (58). თუმცა აღსაღნიშნავია, რომ დასაქმების მხრივ დიდ პრობლემად რჩება სწავლის დასრულების შემდგომ მხარდაჭერის სისტემა სასწავლებლის მხრიდან, რათა კურსდამთავრებულემბმა მიიღონ ინფორმაცია დასაქმების სფეროებსა და შესაძლებლობებზე. 2020-2021 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე პროფესიული განათლების მქონე კურსდამთავრებულებში 2020 წელს იყო 16.3%, ხოლი 2021 წელს 17.7%.





გრაფიკი 9. დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები განათლების საფეხურის მიხ.

დასაქმებულთა წილი პროფესიული განათლების მქონე კურსდამთავრებულებში 2020 წელს 41.8% შეადგენდა, 2021 წელს- 41.9%.

პროფესიული განათლების რეფორმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი 2019 წელს პროფესიული განათლების სისტემაში ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების პროგრამების დანერგვა იყო. მომზადება-გადამზადების პროგრამების მიზანია მოკლევადიანი კურსების უზრუნველყოფა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ პროფესიული მომზადება ან გადამზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2021 წელს 64 დაწესებულება ახორციელებდა მომზადება-გადამზადების 255 პროგრამას. 2019 წლიდან 2021 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა მომზადება-გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა - 763-დან 4062-მდე, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2021 წელს კვოტა 6548 სტუდენტზე იყო გამოყოფილი და 2486 ადგილი დარჩა შეუვსებელი. ასევე 2021 წელს 255 ხელმისაწვდომი პროგრამიდან 66 პროგრამაზე არც ერთი სტუდენტი არ სწავლობდა. პროფესიული პროგრამების მსგავსად, მომზადება-გადამზადების პროგრამების შემთხვევაშიც, არათანაბარი განაწილებაა თბილისსა და საქართველოს რეგიონებს შორის. მაგალითად, პროგრამის მიმწოდებელთა 48%, პროგრამების 42% და სტუდენტების 58% თბილისშია თავმოყრილი.

2020-2022 წლებში ყველაზე მოთხოვნადი გადამზადების მიმართულებები იყო „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა“, „მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტაციის მომზადება“ და 2022 წელს ამ ჩამონათვალს დაემატა „ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი“.



საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (62%) თვლის, რომ პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება იცვლება დადებითად, თუმცა ეს პროცესი ნელია (ACT, 2015). კვლევამ აჩვენა, რომ 20%-ს აქვს პოზიტიური დამოკიდებულება, 48% ნეიტრალური, 27% უარყოფითი და 5% არ აქვს პასუხი. კვლევა აჩვენებს, რომ პროფესიული განათლების მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულება უარყოფითია ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით. პროფესიული განათლება ხშირად არ არის მათი პირველი საგანმანათლებლო არჩევანი, რაც პროფესიული განათლების „სტიგმას“ უკავშირდება . იგივე ტენდენცია გამოიკვეთა სიტუაციის ანალიზის ფარგლებში სტუდენტებთანა და მშობლებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში. ცნობიერების ამაღლების მიზნით ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები: გამოფენები, საიმიჯო რგოლები სოციალურ მედიაში, "პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები", ღია კარის დღეები, უნარების კვირეული და სხვა.

ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ კურსდამთავრებულები ძირითადად კმაყოფილები არიან სწავლის ხარისხით, რაც დაეხმარა მათ დასაქმებაში. ახალგაზრდების 67% კმაყოფილებას გამოთქვამს ზოგადად მიღებული განათლების ხარისხით; მიღებული განათლების ხარისხით კმაყოფილია პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების 69%, კურსდამთავრებულთა - 56% და სხვა კატეგორიის - 67%. მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კამპანიის გააქტიურება, განსაკუთრებით სკოლებში, და არა მხოლოდ დაინტერესებული ადამიანების, არამედ სხვა ფართო ჯგუფების ინფორმირება.

რაც შეეხება პროფესიული განათლების კონკურენტუნარიანობას და ხარისხს ისინი განსხვავდებულები არიან დაწესებულებებს შორის.

ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელია განათლების მიტოვების მაჩვენებელი. 2018 წელს, მიტოვების მთლიანი მაჩვენებელი 27% იყო, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების მაჩვენებელი 68%.

დაინტერესებული მხარეების ნაწილის მოსაზრებით საგანმანათლებლო სტანდარტები და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები სრულად არაა მორგებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რადგან არ არსებობს შრომის ბაზრის ღრმა კვლევები, ხოლო

საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამის რესურსები არ აქვთ. სწავლების პროცესში გამოწვევაა მოძველებული სასწავლო რესურსები, მასწავლებლების უმეტესობას უცხოური ენის პრობლემა აქვს, რის გამოც ვერ ახერხებენ ახალი სასწავლო რესურსების მომზადებას ანდა არსებულის განახლებას, აღინიშნება ახალგაზრდა მოტივირებული პედაგოგების ნაკლებობა. მათი ნაწილის აზრით, მოქმედი პედაგოგები არ არიან სტუდენტებისთვის მოტივატორები. საჭიროა უკვე წარმატებული ადამიანების ჩართვა, თუმცა მათზეც გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული ნეგატიური სტერეოტიპები. პროგრამები, სწავლების მეთოდები და პედაგოგები არ არიან მორგებული 21-ე საუკუნის „მომავლის პროფესიებს“ და უნარებს (მსოფლიო ბანკის კვლევა, 2020).

პროფესიული მასწავლებლები მიუთითებენ სტუდენტების კონტინგენტის დაბალ მოტივაციასა და აკადემიური მოსწრებაზე. დაბალია პროფესიულ განათლებაში შემსვლელთა განათლების დონე. სტუდენტები კოლეჯებში აბარებენ იმის გამოც, რომ უმაღლესში ვერ ხვდებიან. ასევე არ ხდება ჯეროვნად მოტივირებული სტუდენტების წახალისება, მაგალითად სტიპენდიების დანიშვნა, რაც პროფესიულ განათლებაში წარმატებული სტუდენტების მოზიდვას შეუწყობდა ხელს (ფოკუს ჯგუფები, 2021 წ).

3. შეჯამება

საქართველოში პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევებია სოციალური პარტნიორობისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა პროფესიული განათლების ყველა პროცესში - დაგეგმიდან შეფასებამდე; სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი ქსელი, როგორც გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების მრავალფეროვნების თვალსაზრისით, საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან, პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმების განსხვავებული პერსპექტივები მაღალანაზღაურებად და პიროვნულად საინტერესო პოზიციებზე, კარიერის შემდგომი განვითარების პერსპექტივით, პროფესიული განათლება ნაკლებად მიმზიდველი და წამახალისებელი ალტერნატივაა მოსახლეობისთვის, დამსაქმებლები კადრების შერჩევისას, პროფესიულ განათლებას შერჩევის წინაპირობად ნაკლებად განიხილავენ.

მართალია სახელმწიფო მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებს პროფესიული განათლების განვითარებისთვის, მაგალითად, გაზრდილი დაფინანსება, მომზადება/გადამზადების პროგრამები, ახალი სტანდარტები აკრედიტაციის მიღებაზე და დაფუძნებული სააგენტო, თუმცა, პროფესიული განათლების მიმართულებით უამრავი გამოწვევა და პრობლემა რჩება, რომლის მოგვარებასაც დრო და ფინანსები სჭირდება.